№ 170 ოთხშაბათი, 16 აპრილი. 1896—1897 ოთხშაბათი, 16 აპრილი, № 170.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია მარტში (შეღავათიანის ვადით ხელის-მომწერთ)

პირველ აპრილიდან გაზეთი არ გაეგზავნება.

დღეიდან გაზეთი წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

ღირს ხუთი |5| მანათი.



ტელეფონი № 346

ტელეფონი № 346

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, ღოლის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგები.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и К°. (100—40 წ.)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთის დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—73)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1\frac{1}{2}$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. ზრიტასკევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზრიტასკევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6\frac{1}{2}$—$7\frac{1}{2}$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

ახლად შემდგარი
ქართული ხორო
ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით გამართავს
კონცერტებს
ქ. გორში—ოთხშაბათს, 16 აპრილს (სამოქალაქო კლუბში).
—
დ. ყვირილაში—ხუთშაბათს, 17 აპრილს (ნორმალურ სასწავლებელში).
—
ქ. ქუთაისში—პარასკევს, 18 აპრილს (ქალაქის თეატრში).
—
ხაშურში—შაბათს, 19 აპრილს.
დასაწყისი $8\frac{1}{2}$ საათზე.
გამგე ხოროსი ი. მჭედლიშვილი. (3—1)

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ბ თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. ზერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია. (წ.)

დეპეშა

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.
გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

14 აპრილი.

ვარშავა. 14 აპრილს ავსტრიის იმპერატორმა დილის 7 საათზედ კეთილ ინება პეტერბურგს წარძანება.

პარიზი. ოფიციალური დეპეშა, ოსმალეთის მთავრობის მიერ მიღებული, იუწყება, რომ მართალია ლარისას აღება თათრების ჯარის მიერო. იგივე დეპეშა ამბობს, მტერი (ესე იგი ბერძნები) ლტოლვილ იქმნა და დასტოვა მრავალი საომარი მასალაო.

საბერძნეთის საელჩოს მოუვიდა შემდეგი დეპეშა ათინიდამ: „გუშინწინ ჩვენმა ჯარებმა უკან დაიწიეს მატიდგან. აუარებელმა რიცხვმა მტრის მხედრობისამ იძულებულ ჰყო საბერძნეთის ჯარი დაბრუნებულიყო ფარსალუში და მიეტოვებინა ლარისა, სადაც ადგილ-მდებარეობა ხელს არ უწყობდა საბერძნეთის ჯარს, გამაგრებულიყო“.

კონსტანტინეპოლი. ედჰემ-ფაშა იუწყება დეპეშით: „13 აპრილს, შუადღისას, ლარისა დაიჭირა თათრის ჯარმა“.

სოფია. ის ხმები, ვითომც ბოლგარეთი საომრად ჯარებს აწყობსო, ტყუილია.

კანეა. კანდიის კომენდანტმა პოლკოვნიკმა გრეიზენდმა მოითხოვა მაშველი ჯარები, აჯანყებულთ ალყა შემოარტყეს ქალაქს. თათრები სტოვებენ ფორტის გარშემო დაჭერილს პოზიციებს. აჯანყებულთა შორის საბერძნეთის ჯარის კაცებიც ურევიან. ელჩებმა უარი განაცხადეს, მისცენ გუბერნატორს ფული ჟანდარმებისთვის ჯამაგირად დასარიგებლად. აქ მოვიდა ორი იტალიელი გემი ერთის ბატალიონით ქვეითა ჯარით და ერთის სამთო ბატარეით.

კონსტანტინეპოლი. ედჰემ-ფაშას ებოძა ორდენი „იმტიაზ“.

ლონდონი. ღენერალ-მაიორმა მაკრისიმ, ფაქტიკურმა უფროსმა საბერძნეთის ჯარებისამ, სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი შაიტანა. მის ალაგას დანიშნეს პოლკოვნიკი მავრომიხაილისი.

კონსტანტინეპოლი. ედჰემ-ფაშას ადიუტანტი დეპეშით აუწყებს სამხედრო მინისტრს ტირნოვოს აღებაზე შემდეგს: „ნამატა-ფაშას დევიზიამ იერიში მიიტანა ბერძნებზედ, რომელნიც იძულებულ შეიქმნენ დაეტოვებინათ ლისვაკიის სიმაღლენი. მთაზედ აღიმართა თათრის დროშა, ბერძნები გაიქცნენ ტირნოვოსიდამ, ზოგი ჩალხისარდისკენ, ზოგიც ლარისისკენ. ნამატ-ფაშამ დაიპყრო ტირნაოსი უომრად. მცხოვრებნი სულ გაქცეულიყვნენ, ქალაქში დარჩომილან მხოლოდ მოხუცებულები. ეტყობა, რომ მცხოვრებნი შიშის ზარს აუტანია“.

---

† **იოსებ მრევლიშვილი.** 12 აპრილს, აღდგომის წინა დღეს, თავი მოიკლა სოფელ მცხეთაში, თავისს მამულში იოსებ რომანოზის-ძემ მრევლიშვილმა. რამ აიძულა ეს ახალგაზდა, ჯერ უცოლშვილო, ჯანით და ღონით აღსავსე ყმაწვილი კაცი რომ ასე უდროვოდ გახე[illegible] წუთი-სოფელს, ეს ჯერ არ ვიცით.

იოსებ მრევლიშვილი იყო შვილი დეკანოზის რომანოზისა, სწავლა მიიღო ტფილისის ალექსანდრეს სოსტატო ინსტიტუტში, ცოტახანს სახელმწიფო სამსახურში იყო მასწავლებლად, მერე მიატოვა სამსახური და ტფილისში კერძო პანსიონი და მოსამზადებელი სასწავლებელი გახსნა შემდეგ მამის გარდაცვალებისა იოსებ მრევლიშვილმა მიატოვა ტფილისი და დაბინავდა სოფ. მცხეთაში, სადაც მიეცა მეურნეობას.

გატაცებით შეუდგა სოფლის მეურნეობას, მამულებიც კარგი ჰქონდა და, თითქოს, ხიფათსა და განსაცდელს ადგილი აღარ უნდა ჰქონოდა, მაგრამ აგერ როგორი აღდგომა გაითენა?.

განსვენებული იოსები არ იყო უცხო ჩვენის ლიტერატურისა. ჟურნალს „ნობათს“ ამშვენებდნენ მისი საბავშვო მოთხრობები „კაკანათი“ და ერთი მისი ლექსი „მამა მყავდა მეომარი“ სახალხო ლექსად გადიქცა, რომელსაც მღერიან ყოველგან.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილომუშაკო.

ახალი ამბავი

⁂ ყოვლად უსამღვდელოესს ეგზარხოსს სურვილი გამოუცხადებია, რომ ამ სადღესასწაულო ვიზიტების მაგიერ კარგი იქმნებოდა, რომ ის ფული, რაც ეტლებზედ ეხარჯებათ ხოლმე კონსისტორიის მოხელეთ და სასულიერო წოდების პირთ, მოხმარდეს ქართლ-კახეთის ეპარქიის ღარიბ მოწაფეთო. ყველას ძლიერ მოსწონებია ყოვლად უსამღვდელოესის ესეთი სურვილი და ამ საგნისათვის უკვე პატარა თანხაც შეგროვილა, თურმე.

⁂ **ბათომის გიმნაზიის გამო.** 9 აპრილს, ბათომში ჩასულა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მონდობილობით ა. ი. სტოიანოვი, რომელსაც დაუთვალიერებია დროებითი სახლი გიმნაზიისათვის და სამუდამო შენობისათვის აღნიშნული რამოდენიმე ადგილი. გიმნაზიის მოთავსებას დროებით აპირებენ ბათომის ქართულის სკოლის სახლებში, ხოლო ბ. სტოიანოვის აზრით, ეს სახლი არ იკმარებს და საჭიროა ზედ დაუმატონ კიდევ „ბერძენთა სკოლის“ სადგომიც. ქალაქმა რამოდენიმე ადგილი უჩვენა ბ. სტოიანოვს ზედ სამუდამო შენობის ასაგებად, მაგრამ არც ერთი არ მოიწონა: ზოგი, იმიტომ რომ ზღვის ნაპირას დაშორებულია და ზოგიც იმიტომ, რომ საპყრობილესთან ახლოს არის, ადვილად შესაძლებელია გადამდები სენი გავრცელდესო და არც პედაგოგიურის მხრივ არის სანატრელი გიმნაზიის აშენება საპყრობილის მეზობლადო.

ამ საქმის თაობაზედ ქალაქის საბჭოს სხდომა ჰქონია ექიმების მ. ი. ფენსტერისა და დ. [illegible] ზაზაროვის თანადასწრებით. საბჭომ [illegible] ბ. სტოიანოვს, მიაქციოს ყურადღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის სიღარიბეს, რომ ქალაქს არა აქვს შეძლება შეიძინოს ახალი ადგილი გიმნაზიისათვის და დასჯერდეს იმ ალაგს (სატუსაღოს მახლობლად), რომელსაც კარგს გალავანს შემოავლებს ქალაქი და შიგ ბაღს გააშენებს. ამ პირობებზე ბ. სტოიანოვი დათანხმებულა და დაჰპირებია ქალაქს ბ. ოლქის მზრუნველის წინაშე შუამდგომლობას.

სხვათა შორის, ბ. სტოიანოვს წინადადება შეუტანია ამ სხდომაზედვე, რომ სასურველი იქნებოდა ბათომის გიმნაზიაში გაიმართოს პანსიონიცაო. („ჩერნ. ვესტ.“).

⁂ **ახალი წიგნაკი.** ჩვენ მივიღეთ ბართ. კილაძის და რუხაძის გამოცემა პაწია წიგნაკი, რომელშიაც მოთავსებულია რჩეული ადგილები შოთა რუსთაველის „ვეფხვის ტყაოსნიდან“, სამი ლექსი მამია გურიელისა და თითო ლექსი აკაკისა და ყაზბეგისა. წიგნაკი სუფთად არის დასტამბული და ღირს ერთი შაური.

⁂ **სუფსა** (გურია) **ქართულის გალობის გამო.** თქვენი აქაური კორრესპონდენტი არ უნდა იყოს „სიმართლისათვის დევნილი“. ის ბრძანებს: „ბ. ტუსკია მშვენივრად ასწავლის თავის მოწაფეებს. მშვენივრად იციან მისმა მოწაფეებმა როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიც“ („ცნ. ფურცლის“ № 161.) მშვენიერების დიდი თაყვანის მცემელი ყოფილა ბ. კორესპონდეტი და, დანარჩენი-კი სიმართლეს მოკლებულია. როდესაც ვკითხე მე: „ყმაწვილო, რატომ ხანდახან მაინც არ გაგვაგონებ ჩვენს ეკკლესიაში ქართულ გალობას, ბავშვებს ხომ ისე შეუძლიათ ისწავლონ ქართულიც, როგორც რუსული“-მეთქი, მიპასუხა: „არა ვქნა, ბატონო, მე ქართული არ ვიცი ისე კარგად, როგორც რუსული ვიციო“. ფაქტი ამტკიცებს, რომ ქართული სრულიად არ სცოდნია, რადგან თვითვე ამბობს ამას. ისე რომ ტუსკიას მოწაფეებმა არა თუ „ქართული კარგად არ იციან“, არამედ ჰგონიათ, რომ არ უნდა იცოდნენ ეს უკანასკნელი.

ელეონორა გურიელისა.

⁂ **დ. ლიახვის ხეობა. უმეცარი მამასახლისის არჩევა.** 13 მარტს დიდი-ლიახვის ხეობაზედ მოხდა არჩევანი როკის საზოგადოების მამასახლისისა. მამასახლისათ აირჩიეს უმეცარი და უსწავლელი ოსი. წინად ხუთი საზოგადოება იყო და ყველა საზოგადოებას ჰყავდა თავის საკუთარი მასახლისი. რადგანაც ძველი მამასახლისები რიგიანად ვერ ასრულებდნენ თავიანთ დანიშნულებას, მთავრობამ შეაერთა ხუთი სამამასახლისო ერთ სამამასახლისოდ, რათა აერჩიათ ჯამაგირით უფრო განვითარებული და განსწავლული კაცი. არჩევანის დროს, ერთი, რომელიც ცნობილია ხალხის უსაფუძვლო და განუსაზღვრელ გინებით, აქაც ძლიერ უშვერის პირით ილანძღებ-იგინებოდა. ამ რიგად ხალხს თავის კალაპოტში არ აყენებდა და არ მისცა ნება ხალხს თავის სამის წლის ბედ-იღბალზედ ეფიქრნა. კარგი იქნება, ამ ვაჟბატონმა განუსაზღვრელ ხალხის ცემა-ტყეპასა და ლანძღვა-გინებაზედ ხელი აიღოს და კაცურად მოექცეს კაცებს, თორემ იძულებული ვიქნებით გამოვაქვეყნოთ იმის სახელი და გვარი, დაწვრილებით ავწეროთ იმის ყოფა-ქცევა და კიდეც დავუმტკიცოთ...

მართალაძე.

⁂ **სამტრედია. გამოთხოვება ბოქაულთან.** კვირას, ექვს ამ თვეს, სამტრედიის პოლიციის ბოქაულს ბ-ნ იულიანე ქავთარაძეს გამოსათხოვებელი ვახშამი გაუმართა სამტრედიის საზოგადოებამ. ვახშამზედ დაესწრო სამოცამდე ქალი და კაცი. ვახშამი იყო გამართული კლუბის დარბაზში. რკინის გზის ორკესტრი უკრავდა საღამოს ცხრა საათიდგან მეორე დილის ხუთ საათამდე, სანამ მატარებელში ჩასხდებოდნენ ბ. ქავთარაძე მეუღლითურთ. სამტრედიაში კლუბის დაარსებაში დიდი მონაწილეობა აქვს მიღებულ. ქავთარაძეს და მის მეუღლეს. კლუბში ყოველ კვირაობით საცეკვაო საღამოები იმართებოდა ხოლმე დიდებისთვის და ბავშვებისთვისაც ყოველ ბედნიერ დღეს. კლუბში წარმოდგენებიც კი იმართებოდა დრო-გამოშვებით, ჩვენის თეატრის ნიჭიერ არტისტების მონაწილეობით. კლუბს ყველა ჟურნალ-გაზეთი, რაც კი გამოდის ჩვენს ქვეყანაში, გამოწერილი აქვს; უცხო ქვეყნებიდგანაც რამდენიმე ჟურნალი მოსდის კლუბს. საზოგადოება დიდის მწუხარებით ეთხოვებოდა ცოლ-ქმარს, რითაც აშკარად დამტკიცდა, თუ რამდენად ჰქონდა ხალხს ქავთარაძეების პატივის ცემა და სიყვარული. ბ. ქავთარაძეს მოართვეს სახსოვრად მშვენიერი ვერცხლის ჰიქა ზედ წარწერით; ქ-ბ-ნ ქავთარაძისას ალბომი დიდის ვერცხლის ვენზილით ყდაზედ გაკეთებული. მრავალმა გააცილა ლანჩხუთამდე, სადაც გარდაყვანილი არის ბ-ნ ქავთარაძე ბოქაულადვე.

ნატო.

⁂ **სად. გომი. სამეურნეო ამხანაგობის გამო.** სიამოვნებით უნდა მივეგებოთ იმ ამბავს, რომ დღეს გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობამ დაიქირავა ძალიან ხელ-საყრელის პირობებით 4-ს წლით გომის სადგურის მახლობლად მდებარენი: დიდი ქვიტკირის და ხის შენობები, სავაჭრო მასალებისთვის საწყობად და თავიანთ ყოველსავე საქმის წარმოებისათვის. ეს ამხანაგობისაგან იჯარით აღებული შენობები არის საკუთრება გორის მაზრის მემამულე ბ. იორდანე სიხარულიძისა და ამანვე ზემოხსენებულ შენობებთან ერთად უნდა 1-ს მაისს ამა წელსა, (რადგანაც ამ დროს შევა პირობა თავის ძალაში) კიდევ გადასცეს ამხანაგობას: ნავთის ქვაბი, სასწორები, ორი ახალი პრესი—შესაკრავი ბზისა და თივისა, პურის გასაწმენდი მაშინა და სხვა და სხვა. პირობა შესრულდა და დაიწერა თ. ლუარსაბ ბეგთაბეგოვის სახლში, სადაც იყვნენ თავმოყრილნი ხუთი-ექვსი კაცი, ამხანაგობის წარმომადგენელნი პირნი. შემდეგ ამ საქმის დაბოლოებისა, პატივცემულმა ბ. სიხარულიძემ გამოაცხადა თავისი სურვილი წევრად შესვლისა ხსენებულს ამხანაგობაში და ჩაეწერა 25-ი პაის მონაწილედ. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ამისთანა გამოცდილმა კაცმა, როგორიც ბრძანდება ბ. სიხარულიძე, ამოდენა ნდობა და რწმუნება აღმოუჩინა ხსენებულ ამხანაგობას ამ თავით, ეს გარემოება დიდს იმედს გვაძლევს შემდეგისთვისაც, რომ ბევრნი ღირსეულნი პირნი მიიღებენ სიხარულიძის მაგალითს, და ესევე ამბავი არის დამამტკიცებელი იმ აზრისა, რომ ამხანაგობას მიუგნია და მიუნდვია ამ თავითვე ძალიან რჩეულ, სანდო და გამოცდილ პირებისათვის თავიანთი საქმის წარმოება. ღმერთმა ბრძანოს, რომ ჯერ ამ ნორჩის ამხანაგობის საუკეთესო მიზანს დაეჭიროს უპირველესი ადგილი ამ ჩვენ ღარიბ საყვარელ ქვეყანაში.—

სოსიკო.

⁂ **ს. ხოვლე. უმართებულო ამბის გამო.** ბატონო რედაქტორო! ამას წინად „ცნობის ფურცლის“ ნომრებში დასტამბული გახლდათ ორი კორრესპონდენცია ს. ხოვლიდამ ზაქარია და ქეთევან ჯავახიშვილებისაგან სოფ. ხოვლეში წიგნთსაცავის დაარსების შესახებ. მე დიდათ მოხარული ვარ ამ წიგნთ-საცავის დაარსების გამო, და რასაკვირველია, ამ მხრივ მათ კორრესპონდენციებს მე არ შევეხები, მაგრამ ამ პატივცემულ პირთ ეს არ იკმარეს და, არ ვიცი რა მიზეზით, თავის წერილებში მეც შემეხნენ. ხსენებული მოამბენი საზოგადოების წინ ღაღადებენ, რომ სკოლაზედ არავინ ზრუნავსო, და ის-კი დავიწყებიათ ამ დალოცვილებს, რომ, თუ სხვანი გულ-შემატკივარნი არ ჰყავდა სკოლას, თვითონ აქამდის რაღა'ს აკეთებდნენ? ამ უკანასკნელ ჩემს ექვსის წლის მასწავლებლობაში ხსენებულ მოამბეთ ერთხელაც არ შემოუხედნიათ სასწავლებელში. შემდეგ ბ. ზაქარია ბრძანებს: „ამ ოცის წლის დაარსებულ სკოლას ჯერ-ჯერობით ნაყოფი არა მოუტანია-რაო“. განა შესაძლოა, რომ სოფელში სკოლა არსებობდეს და ცოტა ოდენი მაინც ნაყოფი არ მოეტანოს? და თუ მე არას ვაკეთებდი, ნუ-თუ იმისთანა კეთილ-სინიდისიანი მასწავლებელთ, როგორიც იყვნენ ი. ცხვეთაძე, ჰიჰინაძე და ნ. თარხნიშვილი, არაფერი სარგებლობა არ მოუტანიათ სოფლისთვის? მგონი, ხსენებულნი მოამბენი ამაზედ უარს ვერ იტყვიან, რადგან თვითონ იმათ-კი პირველ-დაწყებითი სწავლა, როგორც მახსოვს, ამ სკოლაში მიუღიათ!.. ხოლო თუ მარტო მე ვყვანდი ხსენებულ მოამბეთ ნიშანში ამოღებული, მაშინ ნურც იმას დაივიწყებენ, რომ დღესაც მყვანან შეგირდები ქართულ წერა-კითხვის მცოდნენი არა ნაკლებ თვით ბ. ზაქარიაზე, რომელიც, სხვათა შორის, სწერს: იმდენი ბავშვები მეხვეწებიან საკითხავ წიგნებსა, რომ აწ არსებული წიგნთსაცავი არც-კი გვყოფნისო. აბა რომელ ამბავს დავუჯეროთ! თითონვე ამბობს: მთელს სოფელში ოცი კაცის მეტი წერა კითხვის მცოდნე ვერ ვიპოვნეო და მერე—კითხვის მსურველთ ბიბლიოთეკა ვერ ასდის, იმდენია მონატრე წიგნებისაო!.. მე არ გამოვუდგები კვალ-და-კვალ ხსენებულ მოამბეთა უმართებულო წადილის ანუსხვას. მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია, მხოლოდ ერთს ვიტყვი, წესი და რიგი მოითხოვს, რომ ნამდვილი მოღვაწენი, როგორათაც ჰსახავენ თავიანთ თავს ხსენებული მოამბენი, თითონვე როდი უნდა აქებდნენ ერთმანერთსა და თავიანთ თავს, არა მგონია, ესეთი ქება შეეფერებოდეს იმ მორცხვ თავ-მდაბლობას, რომელიც შეადგენს პირველს თვისებას ყოველ უანგარო და ნამდვილ მოღვაწისას. ხოლო თუ მართლა წიგნების შემოწირვაზე შესტკიოდათ გული, ან მე რად მიმაყოლეს ზედ, ან თავის თავს რად უძღვნეს ესეთი ჰარბი ქებათა-ქება.

მე-კი ჩემის მხრით მოვახსენებ ხსენებულ მოამბეთ, რომ მართებული კაცი, სწავლა განათლებაზედ მზრუნველი, ჩხავილს და თავის ქებას საგაზეთოდ არ გახდის, რადგანაც ყოველს ნამდვილ მოღვაწეს თვით საზოგადოება აჯილდოებს ხოლმე.

ხოვლის მასწავლებელი კნ. მარიამ ჯავახიშვილისა.

წვრილი ამბავი

ბრამსის ეშმაკობა. ეხლახან გარდაცვალებული ბრამსი დიდი ოხუნჯი იყო. ერთმა ახალგაზდა ქალმა განიძრახა ბრამსის ბიუსტის შეძენა და მაღაზიაში შევიდა, სადაც თვით ბრამსი დახვდა. ქალს თვით ბრამსისთვის მიუმართავს — მიძღვენით თქვენი ბიუსტიო, ისიც დაჰპირებია მხოლოდ ეხლა კი არა, როცა ჩემი დღეობა იქნება მაშინაო. ახალგაზდა ქალიც, თურმე, დიდის ამბით ელოდა მის დღესასწაულს; დღესასწაულიც ჩქარა მოვიდა სტუმრები შეიკრიბნენ დარბაზში, ბრამსი კი იქვე ოთახში გავიდა საჩუქრის მოსამზადებლად. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოიტანეს დიდი მაგიდა, ზედ გამოჰიმულის საუცხოვო ბიუსტით. ახალგაზდა ქალი მიუახლოვდა ბიუსტს ასაღებად, მაგრამ უეცრივ თეთრი თვალების მაგიერ შავები გამოჩნდა. თავი დაიკარგა და თვით ბრამსი კი გამოჩნდა მთლად პუდრით შეთხუპნილი. წარმოიდგინეთ გაოცება ხალხისა, როდესაც ბიუსტის მაგიერ ნამდვილი ბრამსი კი დაჰხვდათ.

—

აწინდელი ამერიკა. მაკს ნორდაუმ დაბეჭდა ვრცელი წერილი ამერიკაზედ. ის ამბობს: «ევროპის დღენი ღამდებიან, ამერიკაში კი მზე ამოდის. ევროპას დასჩრდილავს ფრთა ჩრდილოეთის უშველებელის არწივისა—რუსეთისა, ამერიკაში კი აღორძინდება ახალი აკროპოლი კაცობრიობისა.

ამერიკელს ძალიან მოჰფხანა გული ასეთმა ქებამ, რომელიც უქადის ევროპას სიკვდილს, ამერიკას-კი სხივ მოსილ მომავალს. ბევრმა გაზეთმა ამერიკისამ სიამოვნებით გადაბეჭდა ასეთი მსჯელობა გამოჩენილის მწერლისა, ხოლო ზოგნი ღიმილით ამბობდნენ: „აბა ერთი მაკს ნორდაუს რამდენიმე წელიწადი ეცხოვრა ჩვენს ქვეყანაში და მაშინ ვნახავდით რას იტყოდა ამერიკაზედაო“.

ამერიკაში საუკეთესო მთავრობად ითვლება იგი, რომელიც ყველაზედ სუსტად ჰმართავს საზოგადოებასაო, ამბობს გერმანულ გაზეთის ერთი ამერიკელი კორესპოდენტი. ასეთმა შეხედულობამ შეჰქმნაო მთელი შტატი უნიჭო მოხელეებისა და გაავრცელა შესყიდვა და ვაჭრობა საარჩევნო კენჭებისა.

ამერიკამ კიდევაც რომ მოინდომოს და შემოიღოს ევროპიული წეს-რიგი მართვისა, საჭირო რიცხვს მოხელეებისას ვერ იშოვის. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ამერიკას ერთი დიდი სენი სჭირს, რომელიც ევროპამ არ იცის. ამერიკაში ხალხი ორ ჯგუფად არის გაყოფილი. ერთი, მცირედი რიცხვით, არის პატრონი აუარებელის სიმდიდრისა, მილლიონებისა; მეორე—უმრავლესობა ბოგანოა, ტაბარუკი, უადგილ-მამულო, უბინადრო. ევროპაში-კი ამ ორს ჯგუფს შუა არის მრავალ-რიცხოვანი ჯგუფი საშუალო შეძლებისა და ქონების პატრონი. ევროპაში ეს მრავალ-მილლიონიანი საშუალო დასი ჰქმნის აწმყოსაც და მერმისსაც და ესევე არის თავდები მისი, რომ ევროპას განსაცდელიანი მომავალი არ მოელის.

ამერიკაში-კი ამ ორ დასს შუა ადგილი ცარიელია. ცოტას ხელში დიდძალი ქონებაა, უმრავლესობა—ღატაკია; შუაში უფსკრულია უხიდო. ასეთი წესი განსაცდელს უქადის ამერიკას.

ამერიკაში დიდი თავისუფლება აქვს ერს მინიჭებული, მაგრამ უფრო დიდი თავისუფლება მოიპოვა ფულმა, მილლიონებმა. მდიდარი კაცი, მილლიონების პატრონი ი სულ მუდამ მართალია, რადგან „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“ ყველას აქვს ძვალს და რბილში გამჯდარი. ამერიკის გამარჯვება ევროპასთან ძალიან და ძალიან საეჭვოაო, —დასძენს კორესპონდენტი.

განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკების

როიალები

პიანინო

ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა

Музыкальное депо
Б. М. Мириманяна.
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинс: Дворянства.

განსაკუთრებულ
საათების
სახელოსნო
ბელიარ
ავაკიანცისა
სათავად აზნაურო ქარვასლა.

ვღებულობ ყოველგვარ საათებს შესაკეთებლად. ფასი ყველაფერზე ზომიერია. ყოველ შეკვეთას ვასრულებ წმინდად და სინიდისიერად.
ბელიარ ავაკიანცი.

იქვე გამართულია
საოქრომჭედლო სახელოსნო
ნიკოლოზ იმედოვისა
სახელოსნო ასრულებს ყოველ გვარ საქმეს ოქრო-მჭედლურ ხელობისას სუფთად, მკვიდრად, შნოიანად, სწრაფად და იაფად!
(30—22)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Апрѣля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.